

**შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას**

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**დადგენილება №13**

**12 მარტი 2016 წ.**

დამტკიცდეს შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას სტუდენტური თვითმმართველობის დებულება შემდეგი შინაარსით:

**შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას**

**სტუდენტური თვითმმართველობის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას (შემდგომში უს ჯორჯია) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, უს ჯორჯიას სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო.

1.2. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით “უმაღლესი განათლების შესახებ”, უს ჯორჯიას შინაგანაწესითა და წინამდებარე დებულებით; სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება ამ დებულების შესაბამისად.

1.3. სტუდენტური თვითმმართველობა არის უს ჯორჯიას შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა, რომელიც კანონდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უს ჯორჯიას ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ახორციელებს მის უფლებამოსილებას.

1.4. სტუდენტური თვითმმართველობა არის უს ჯორჯიას ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო.

1.5. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა იმართება მისი საბჭოს მიერ. სტუდენტებს არ შეუძლიათ განახორციელონ პროგრამები, რომლებიც არ არის დამტკიცებული სტუდენტური თვითმმართველობის მიერ და რომლებიც ეწინააღმდეგება უს ჯორჯიას შინაგანაწესს. თუ სტუდენტური თვითმმართველობის მოქმედება ეწინააღმდეგება უს ჯორჯიას შინაგანაწესს,

სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობა შეჩერდება დროებითი ვადით, რომელის ხანგრძლივობასაც განსაზღვრავს უს ჯორჯიას რექტორი.

1.6. სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ორგანოების არჩევნების წესი და პირობები განისაზღვრულია წინამდებარე დებულებით.

1.7. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ შემოდგომის სემესტრის დასაწყისში (სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 60 დღის ვადაში).

1.8. სტუდენტური თვითმმართველობის მოქმედი საბჭოს უფლებამოსილება სრულდება უს ჯორჯიას ახალი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის მომენტიდან.

1.9. სტუდენტურ საბჭოს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ღონისძიებებში. ის არ არის უფლებამოსილი ჩაიდინოს ქმედება, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება უს ჯორჯიას სახელსა და პრესტიჟზე.

1.10. უს ჯორჯიას ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა არის უს ჯორჯიას თვითმმართველობა, რომელიც შეუმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უს ჯორჯიას წარმომადგენლობით საბჭოს.

1.11. უს ჯორჯია უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს მოცემულ დებულებაში, თუ მასში აღმოჩენილ იქნება უსარგებლო ან უს ჯორჯიას სტუდენტებისათვის უარყოფითი ნორმა.

1.12. სტუდენტურ თვითმმართველობას, უს ჯორჯიას ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, გააჩნია საკუთარი აუდიტორია და ასევე ინვენტარი (სკამები, მაგიდები, ტელეფონი, კომპიუტერი, პრინტერი, დაფა, საკანცელარიო ნივთები).

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

2.1. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

ა) სტუდენტი – პირი, რომელიც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიაში ბაკალავრიატის პროგრამაზე;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობა – შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) უს ჯორჯია – შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია;

დ) უს ჯორჯიას ადმინისტრაცია - შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უს ჯორჯიას მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) ფაკულტეტი - შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ძირითადი სასწავლო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

ვ) ჯგუფი – ერთი და იგივე კურსისა და მიმართულების სტუდენტთა ერთობლიობა.

### **მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები**

3.1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უს ჯორჯიას მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, დახმარება გაუწიოს უს ჯორჯიას ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში.

დ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სოციალურ-კულტურული, სპორტული, დასვენების, ყოფისა და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;

ე) ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებას; ხელი შეუწყოს მათი კულტურების წარმოჩენას უს ჯორჯიას ფარგლებში;

ვ) ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმავოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტურ თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;

ზ) უზრუნველყოს სტუდენტები თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში ყველა საჭირო ინფორმაციით და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს უს ჯორჯიაში ახლად მოსული სტუდენტების ინტეგრაციაში.

### **მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება**

4.1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელის კანდიდატურას.

გ) შეიმუშავებს და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს უს ჯორჯიაში არსებული პრობლემების რეგულირების შესახებ.

- დ) თვითმმართველობის საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან ფაკულტეტის დეკანის მოწვევით დაესწრონ და ისარგებლონ ხმის უფლებით ფაკულტეტის საბჭოების სხდომებზე;
- ე) თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტის ინტერესებს უს ჯორჯიას მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში.

#### **4.2. სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტი:**

- ა) სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია უს ჯორჯიას რექტორს წარუდგინოს თვითმმართველობის ერთი წლის სამოქმედო გეგმა და მოითხოვოს შესაბამისი დაფინანსება;
- ბ) უს ჯორჯია უფლებამოსილია გამოყოს სპეციალური ფონდი სტუდენტთა საბჭოსათვის ან შეამციროს ბიუჯეტი უს ჯორჯიას ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად;

4.3. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია, მითითებული მიზნების განსახორციელებლად მოაწყოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი და სამეცნიერო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები; სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა;

4.4. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე აპოლიტიკურ გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

#### **მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა**

5.1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრია ის სტუდენტი, რომელიც საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით (მუხლი 12.) არჩეული იქნება სტუდენტურ თვითმმართველობაში.

5.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 სასწავლო წლით.

5.3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) უს ჯორჯიაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში;
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების და/ან შეწყვეტის შემთხვევაში;

დ) თუ სტუდენტმა მიიღო დისციპლინარული სასჯელი უს ჯორჯიას შინაგანაწესის, მისიისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევის გამო, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ე) თვითმმართველობის საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ იგი აღარ არის ქმედუნარიანი და არ ცხადდება შეხვედრებზე საპატიო მიზეზის გარეშე.

5.4. სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელიც არ არის უს ჯორჯიას სტუდენტი და რომელზედაც არ ვრცელდება ამ დებულებით გათვალისწინებული ნორმები; საპატიო წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით.

5.5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში თვითმმართველობის ახალი წევრი ხდება ის პირი, რომელმაც ბოლო არჩევნებში დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ თვითმმართველობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა; თანაბარი ხმების მქონე პირთაგან თვითმმართველობის წევრი შეირჩევა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული კენჭისყრით; ახლად არჩეული თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში; სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის კანდიდატები არ მონაწილეობენ არჩევნებში.

## **მუხლი 6. თვითმმართველობის წევრის უფლებები და მოვალეობები**

### **6.1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:**

ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება თვითმმართველობის შეხვედრებზე;

გ) შინაგანაწესით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

დ) აირჩიოს და იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

ე) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზირებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;

ვ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;

ზ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

### **6.2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;

ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) უს ჯორჯიას ქონების დაზიანების შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო ვალდებულია გამოიკვლიოს ქონების დაზიანების ფაქტი და დაზიანებაში მონაწილე პირის/პირების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს უს ჯორჯიას ადმინისტრაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად აანაზღაურებს უს ჯორჯიასათვის მიყენებულ ზიანს.

დ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უს ჯორჯიას მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო უფლებამოსილია მოაწიოს პიკნიკები საბჭოს წევრებისათვის უს ჯორჯიას ადმინისტრაციასთან შეთანხმებით; სატრანსპორტო ხარჯები მოგზაურობისა და პიკნიკის შემთხვევაში ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტების დასაფარია, შესაძლებელია უს ჯორჯიას თანადაფინანსებით ექსკურსიებისა და საღამოების მოწყობა.

ვ) ლაშქრობის, კემპინგის, ისტორიული ტურებისა და ჯომარდობისას იკრძალება ალკოჰოლური სასმელების მოხმარება და ამორალური ქცევა; ის სტუდენტები, ვინც არ დაემორჩილებიან აღნიშნულ წესს მიიღებენ დისციპლინარულ სასჯელს და აეკრძალებათ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა.

## **მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები**

7.1. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი განყოფილებები.

## **მუხლი 8. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება**

8.1. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან.

8.2. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება იკრიბება სასწავლო სემესტრში ერთხელ; თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის წევრებს ეცნობება კრების ჩატარებამდე 7 დღით ადრე.

8.3. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 70%.

8.4. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს თვითმმართველობის პრეზიდენტი და განყოფილებების თავმჯდომარეები დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
- ბ) დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლოს თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხმის მიცემაში მონაწილეთა ხმების 70%-ით,
- გ) დაამტკიცოს თვითმმართველობის წლიური სამოქმედო გეგმა;
- გ) შეიტანოს ცვლილებები სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში საერთო კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით; შესული ცვლილებები განიხილება და მტკიცდება უს ჯორჯიას წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
- დ) თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, თვითმმართველობის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 70%-ს ან თვითმმართველობის წევრთა 25%-ს.

### **მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი**

- 9.1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას თვითმმართველობის ნებისმიერი წევრი, თვითმმართველობის პრეზიდენტად ერთიდაიგივე სტუდენტი შეიძლება აირჩიონ მხოლოდ ერთხელ.
- 9.2. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების მიერ 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით.
- 9.3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს თვითმმართველობის წევრთა სრული შემადგენლობის 1/5-ს.
- 9.4. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც დააგროვა ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა; იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

### **9.5. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:**

- ა) ხელმძღვანელობს თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს;
- ბ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას საფაკულტეტო საბჭოების წინაშე;
- გ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
- დ) იწვევს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს;

- ე) სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელი განყოფილებების თავმჯდომარეების კანდიდატურებს;
- ვ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;
- ზ) იწვევს თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას.

#### **9.6. პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე წყდება:**

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) უს ჯორჯიაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში;
- გ) ქმედითუუნაროდ გამოცხადების ან შეხვედრების არასაკმატო მიზეზით რეგულარული გაცდენის შემთხვევაში;
- დ) შინაგანაწესის ან საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტისათვის აუცილებელია სტუდენტური თვითმმართველობის წევრების სიითი შემადგენლობის 70%-ის თანხმობა.

9.7. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ათი დღის განმავლობაში აირჩევა ახალი პრეზიდენტი (ახალი პრეზიდენტის არჩევამდე მის უფლებამოსილებას შეითავსებს სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი).

#### **მუხლი 10. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო**

10.1. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო, რომელიც შედგება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის განყოფილებების ხელმძღვანელებისაგან.

10.2. საბჭო განსაზღვრავს წლის განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს; იგი განსაზღვრავს აღმასრულებელი განყოფილებების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

10.3. საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში თვეში ერთხელ.

10.4. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა; გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; ხმების გაყოფის შემთხვევაში პრეზიდენტს ეძლევა 2 ხმის უფლება; რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ან საბჭოს წევრთა 70%-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

10.5. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო უფლებამოსილია :

- ა) განსაზღვროს წლის პრიორიტეტები, შეიმუშაოს წლიური სამოქმედო გეგმა;



ბ) განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები და პროექტები, რომელსაც მას წარუდგენენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ;

გ) მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება და შეიტანოს ცვლილებები წევრთა სრული შემადგენლობის 70%-ის თანხმობით; საერთო კრებაზე სამსჯელოდ გამოიტანოს დებულება; სტუდენტური თვითმმართველობის დებულება განიხილება და მტკიცდება უს ჯორჯიას წარმომადგენლობით საბჭოზე.

## **მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობის ადმინისტრაციული განყოფილებები.**

11.1. თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად იქმნება შემდეგი განყოფილებები:

ა) **საშინაო საქმეების განყოფილება:** იცავს სტუდენტების უფლებებს, ინტერესებსა და თავისუფლებებს, ეხმარება სტუდენტებს სასწავლებლის შიგნით არსებული პრობლემების მოგვარებაში, არის დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის;

ბ) **განათლებისა და მეცნიერების განყოფილება:** ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებასა და არაფორმალური განათლების გავრცელებას უს ჯორჯიაში.

გ) **კულტურისა და დასვენების განყოფილება:** ორგანიზებას უკეთებს კულტურულ და გასართობ ღონისძიებებს, აწყობს ლაშქრობებს, კემპინგებს, ისტორიულ ტურებს, ჯომარდობას და სხვა სტუდენტურ აქტივობებს სტუდენტებისათვის. ეხმარება სხვა განყოფილებებს დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზებაში.

დ) **საგარეო ურთიერთობის განყოფილება:** აქვს სისტემატიური ურთიერთობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ე) **სპორტის განყოფილება:** ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა სახეობის სპორტულ ღონისძიებებსა და ტურნირებს.

## **მუხლი 12. თვითმმართველობის არჩევნები**

12.1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 60 დღის ვადაში.

12.2. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრობის კანდიდატი ვერ გახდება სტუდენტი, რომელიც უს ჯორჯიაში ოთხ წელიწადზე მეტია სწავლობს, მაგრამ ჯერ არ დაუმთავრებია საბაკალავრო პროგრამა.

12.3. სტუდენტი, რომელსაც მიღებული აქვს დისციპლინარული სასჯელი, ვერ გახდება სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრი; სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრი ავტომატურად კარგავს ამ სტატუსს, თუ იგი მისი წევრობის პერიოდში მიიღებს დისციპლინარულ სასჯელს.

12.4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს უს ჯორჯიას ყველა სტუდენტს, თუ იგი აკმაყოფილებს წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

12.5. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირადპირი და ფარული არჩევნების წესით.

12.6. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ სტუდენტების რაოდენობის ნახევრი.

12.7. საარჩევნო სისტემა ყველა კურსის სტუდენტებისათვის:

ა) არჩევნების ორგანიზებისათვის უს ჯორჯია იყოფა საარჩევნო "უბნებად" ფაკულტეტების მიხედვით; ფაკულტეტების სტუდენტები ირჩევენ 1 სტუდენტს, როგორც თავმჯდომარეს, 1 სტუდენტს, რომელიც წარმოადგენს ფაკულტეტს საფაკულტეტო საბჭოში და კურსიდან (ჯგუფიდან) ორ-ორ წარმომადგენელს თვითმმართველობაში; ერთ სტუდენტს არ შეიძლება ჰქონდეს საბჭოში ერთ ფუნქციაზე მეტი; თუ სტუდენტი არჩეულ იქნა ერთზე მეტ პოზიციაზე, ის ინარჩუნებს მხოლოდ ზემდგომ პოზიციას; მის შესაცვლელად მეორე პოზიციაზე აირჩევა მომდევნო სტუდენტი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

ა) სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩევის მიზნით თითოეული კურსი (ჯგუფი) არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე წარმოადგენს არაუმეტეს 3 კანდიდატს.

ბ) თითოეული კანდიდატის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს 10 სტუდენტის მხარდაჭერით.

### **მუხლი 13. სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიების არჩევის წესი**

13.1. სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიების არჩევა ხდება არჩევნების წინა დღეს სტუდენტთა თვითმმართველოს საერთო კრებაზე. წევრთა შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას ფაკულტეტებისა და კურსების სტუდენტთა თანაბრობის პრინციპი.

13.2. სამანდატო კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომლებიც ვალდებული არიან არჩევნების დღეს ფაკულტეტის დეკანის მიერ მიწოდებული სტუდენტთა სიების გათვალისწინებით რეგისტრაციაში გაატაროს არჩევნებში გამოცხადებული სტუდენტები, ხელი მოაწერინონ სახელისა და გვარის გასწვრივ, გადასცენ საარჩევნო ბიულეტენები (ასარჩევ კანდიდატთა სია), რეგისტრაციის დასრულების შემდეგ

შეადგინონ ოქმი გამოცხადებული სტუდენტების ჯამისა და საარჩევნო ბიულეტენის შესახებ, ოქმი ყველა წევრის ხელმოწერით გადაეცემა ხმის დამთვლელ კომისიას.

13.3. ხმის დამთვლელი კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომლებიც ვალდებული არიან მოაწესრიგონ საარჩევნო ყუთები, ჯანსაღ გარემოში უფლება მისცეს არჩევნებზე გამოცხადებულ სტუდენტებს თავისუფლად და შეუფერხებლად გადაადგილდნენ, ასევე შემოხაზონ სასურველი კანდიდატი და საარჩევნო ბიულეტენები სისტემურად და ორგანიზებულად ჩაყარონ საარჩევნო ყუთში. არჩევნების დღის ბოლოს დათვალონ ბიულეტენები, გამოავლინონ გამარჯვებული კანდიდატები, შეადგინონ შესაბამისი ოქმი და გამარჯვებულ კანდიდატთა სია დასამტკიცებლად გადასცენ შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას რექტორს.

#### **მუხლი 14. დასკვნითი დებულებები**

14.1. დებულებაში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უნდა დამტკიცდეს უს ჯორჯიას წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ცვლილების ან დამატების სახით.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე

ქეთევან ჯიჯეიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

გულმაზი მოსიაშვილი